

საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ

ეს კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, განსაზღვრავს საქართველოში ლტოლვილთა და ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა სამართლებრივ სტატუსს, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, ლტოლვილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს.

მუხლი # 1 - ლტოლვილის ცნება

1. ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო.

2. ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება იმ პირს, რომელზედაც არ ვრცელდება "ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" 1951 წლის კონვენცია და "ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" 1967 წლის ოქმი.

მუხლი # 2 - ლტოლვილად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართვის წესი

1. პირი, რომელიც ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ მიზეზთა გამო შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია ლტოლვილად ცნობის თაობაზე პირადად მიმართოს განცხადებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო).

2. სამინისტრო განცხადების წარდგენიდან 3 დღეში იღებს გადაწყვეტილებას პირის ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის თაობაზე და გასცემს შესაბამის ცნობას.

3. ლტოლვილის სტატუსის მამიებლად რეგისტრირებულ პირზე ივსება ანკეტა, რომელშიც შეიტანება ინფორმაცია მის შესახებ. ანკეტის ფორმას ამტკიცებს სამინისტრო.

4. ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების არსებობისას, საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობის არმქონე პირთა მასობრივი შემოსვლის დროს, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას ქვეყნის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით.

მუხლი # 3 - ლტოლვილის სტატუსის მამიებლის უფლება-მოვალეობანი

1. პირს, რომელიც ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად გაივლის რეგისტრაციას სამინისტროში, რეგისტრაციიდან ხუთ დღეში ეძლევა მიმართვა დროებითი ჩასახლების თაობაზე და მითითებულ ადგილამდე ერთჯერადი უფასო მგზავრობისა და ბარგის გადატანის ნებართვა.

2. ლტოლვილის სტატუსის მამიებელს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს გადაადგილების თავისუფლებით, იცხოვროს დროებითი ჩასახლების ადგილას და ისარგებლოს კომუნალური მომსახურებით;

ბ) მიიღოს სურსათ-სანოვაგის დადგენილი ნორმა;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღოს ერთჯერადი ფულადი ან სხვა სახის დახმარება საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით;

დ) შეიყვანოს შვილი სახელმწიფო სკოლამდელ ან ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3. ლტოლვილის სტატუსის მამიებელი ვალდებულია:

ა) სამინისტროს შესაბამის სამსახურს მიაწოდოს თავისი განცხადების განხილვისათვის აუცილებელი ცნობები;

ბ) დროებითი ჩასახლების შესახებ მიმართვის მიღებიდან თხუთმეტ დღეში გაემგზავროს დროებითი ჩასახლების ადგილას და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს, ხოლო სხვა საცხოვრებლის არჩევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს სათანადო სამსახურს ახალი საცხოვრებელი მისამართი;

გ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, დროებითი ჩასახლების ადგილზე ცხოვრების დადგენილი წესები;

დ) განსაზღვრულ ვადაში გაიაროს სავალდებულო სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში.

4. რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში პირს წერილობით ეცნობება უარის მიზეზი ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის მითითებით.

5. რეგისტრაციაზე უარი პირმა შეიძლება გაასაჩივროს სამინისტროში შეტყობინების მიღებიდან თხუთმეტ დღეში.

6. სამინისტროს გადაწყვეტილება პირის რეგისტრაციაზე უარის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირი თავისუფლდება ნებისმიერ ინსტანციაში განცხადების განხილვასთან დაკავშირებული გადასახადებისაგან და სარგებლობს უფასო მთარგმნელობითი მომსახურებით.

მუხლი # 4 - პირის ლტოლვილად ცნობის წესი

1. პირის ლტოლვილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო განცხადების რეგისტრაციიდან ოთხი თვის განმავლობაში.

1'. ლტოლვილის სტატუსის მაძიებელ პირს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე ჩაუტარდება გასაუბრება. გასაუბრების დანიშვნის შესახებ პირი გაფრთხილებული უნდა იქნეს 3 დღით ადრე. გასაუბრებისას ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კვალიფიციური თარჯიმნის მომსახურებით.

1". პირის ლტოლვილად ცნობის პროცედურას ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს სამინისტრო.

2. ლტოლვილად ცნობილ პირს გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში ეძლევა დადგენილი ნიშნების მოწმობა.

3. ლტოლვილად ცნობილი პირი სამინისტროში ყოველწლიურად გადის რეგისტრაციას. ლტოლვილთა ყოველწლიური რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს სამინისტრო.

4. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში პირს წერილობით ეცნობება უარის მიზეზი.

5. სამინისტროს გადაწყვეტილება პირისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საჩივარზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საჩივრის შემტანი პირი სარგებლობს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით.

7.სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობებათ აღნიშნულ პირსა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

მუხლი # 4' - ლტოლვილის დროებითი ბინადრობის მოწმობა

1. ლტოლვილად ცნობილ პირს ეძლევა დროებითი ბინადრობის მოწმობა.

2. დროებითი ბინადრობის მოწმობას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახური პირის მიერ შესაბამისი განცხადებისა და დოკუმენტების წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

3. დროებითი ბინადრობის მოწმობა ადასტურებს ლტოლვილად ცნობილი პირის მოქალაქეობას, ვინაობას, საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე და სტატუსს.

4. დროებითი ბინადრობის მოწმობა გაიცემა 3 წლის ვადით და მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე.

5. დროებითი ბინადრობის მოწმობის ასაღებად პირი ვალდებულია წარადგინოს სამინისტროს მიერ გაცემული, ლტოლვილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და ფოტოსურათი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახური ლტოლვილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობას ამოწმებს სამინისტროს მეშვეობით.

6. დროებითი ბინადრობის მოწმობაში ლტოლვილად ცნობილი პირის მოქალაქეობასთან ერთად ჩაიწერება სიტყვა "ლტოლვილი". დროებითი ბინადრობის მოწმობაში ლტოლვილის მისამართად მიეთითება მის მიერ დასახელებული მისამართი.

7. პირი, რომელსაც შეუწყდა ან ჩამოერთვა ლტოლვილის სტატუსი, ვალდებულია ჩააბაროს დროებითი ბინადრობის მოწმობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამის უფლებამოსილ ტერიტორიულ სამსახურს ან სამინისტროს. სამინისტრო ვალდებულია, მასთან ჩაბარებული დროებითი ბინადრობის მოწმობა არა უგვიანეს 10 დღისა გადაუზღავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს.

8. ლტოლვილად ცნობილ პირზე დროებითი ბინადრობის მოწმობის გაცემის წესი მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი # 5 - ლტოლვილის უფლებები

ლტოლვილს უფლება აქვს:

ა) ექვსი თვის განმავლობაში იცხოვროს დროებითი ჩასახლების ადგილას, ისარგებლოს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ყველა უფლებით და ამავე ვადაში საცხოვრებლად აირჩიოს სამინისტროს მიერ შეთავაზებული დასახლებული პუნქტებიდან ერთ-ერთი, ან ის საცხოვრებელი ადგილი, სადაც ცხოვრობენ მისი ნათესავები, თუ იქნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ უკანასკნელთა წერილობითი თანხმობა;

ბ) "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განცხადებით მიმართოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ;

გ) ნებაყოფლობით დაბრუნდეს მუდმივად საცხოვრებელ ქვეყანაში ან გაემგზავროს სხვა ქვეყანაში;

დ) ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომელიც გათვალისწინებულია "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის V თავით.

მუხლი # 6 - ლტოლვილის მოვალეობანი

ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა;

ბ) წინასწარ აცნობოს სამინისტროს, რომ სურს შეიცვალოს ადრე არჩეული საცხოვრებელი ადგილი;

გ) გაიაროს ყოველწლიური რეგისტრაცია.

მუხლი # 7 - აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ვალდებულებანი ლტოლვილის მიმართ

აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან:

ა) ლტოლვილს წარუდგინონ სამინისტროს მიერ საცხოვრებელ ადგილად რეკომენდებული დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი, აგრეთვე ინფორმაცია ამ პუნქტებში საცხოვრებელი პირობებისა და შრომითი მოწყობის შესაძლებლობათა შესახებ;

ბ) სამინისტროს მიმართვის საფუძველზე საცხოვრებელ ადგილზე ჩასული ლტოლვილი უზრუნველყონ ბინით;

გ) მოცემულ რეგიონში მოსახლეობის დასაქმების დონის გათვალისწინებით, ლტოლვილს მისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით დახმარება გაუწიონ შრომით მოწყობაში;

დ) ადგილზე შრომითი მოწყობის შეუძლებლობისას, საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ სამინისტროს მიმართვის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარონ ლტოლვილი, როგორც უმუშევარი და ხელი შეუწყონ სამუშაო ადგილით უზრუნველყოფაში;

ე) მოსახლეობის სოციალური დაცვის დაწესებულებებში ლტოლვილთა შორის პირველ რიგში გამოუყონ ადგილები მარტოხელებს, მრავალსულიან ოჯახებს, მოხუცებსა და ინვალიდებს, რომელთაც ესაჭიროებათ მზრუნველობა;

ვ) ხელი შეუწყონ ლტოლვილ ბავშვებს სახელმწიფო სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოწყობაში;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუნიშნონ და რეგულარულად მისცენ ლტოლვილს ფულადი დახმარება;

თ) დაეხმარონ ლტოლვილს მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელ ქვეყანაში ნებაყოფლობით დაბრუნებაში.

მუხლი # 8 - ლტოლვილის სამართლებრივი გარანტიები

1. ლტოლვილის უფლებებს იცავს სახელმწიფო.

2. დაუშვებელია ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ გარემოებათა შეწყვეტამდე ლტოლვილი საკუთარი სურვილის გარეშე დაბრუნებულ იქნეს მისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელ ქვეყანაში.

3. სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ლახავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ლტოლვილთა უფლებებს, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი # 9 - ლტოლვილის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღება

ლტოლვილი საქართველოს მოქალაქეობას იღებს "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

მუხლი # 10 - ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლები

1. პირს ლტოლვილის სტატუსი შეუწყდება, თუ:

ა) მიიღო საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

ბ) ნებაყოფლობით ისარგებლა იმ სახელმწიფოს მფარველობით, რომლის ტერიტორიაც იძულებით დატოვა;

გ) მუდმივად საცხოვრებლად გაემგზავრა საქართველოს ფარგლებს გარეთ;

დ) აღარ არსებობს ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი;

ე) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა.

1'. პირს ლტოლვილის სტატუსი აღუდგება, თუ სასამართლომ გააუქმა ამ მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

2. პირს ჩამოერთმევა ლტოლვილის სტატუსი, თუ მან სტატუსი მიიღო ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე ან ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

3. გადაწყვეტილებას ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის ან ჩამორთმევის თაობაზე იღებს სამინისტრო. სამინისტროს გადაწყვეტილება ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის ან ჩამორთმევის შესახებ ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი # 11 - ლტოლვილისათვის სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შეჩერება

1. ამ კანონის მე_5 და მე_7 მუხლების მოქმედება შეჩერდება იმ ლტოლვილის მიმართ, რომელმაც:

ა) ერთ თვეზე მეტი ვადით დატოვა საქართველოს ტერიტორია;

ბ) ჩაიდინა დანაშაული, რის გამოც მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას;

გ) არ გაიარა ლტოლვილთა ყოველწლიური რეგისტრაცია;

დ) პირადი განცხადებით უარი თქვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დახმარებების მიღებაზე.

2. გადაწყვეტილებას ლტოლვილისათვის სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შეჩერების თაობაზე იღებს სამინისტრო.

მუხლი # 12 - ლტოლვილისათვის დახმარების გაწევა

1. ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პირთა მიღების, განაწილების, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების, ბინათმოწყობის, დასაქმების, განათლების, უსაფრთხოების საკითხებს წყვეტს სამინისტრო, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

2. სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას ლტოლვილთა დახმარების სფეროში.

მუხლი # 13 - ლტოლვილთა მიღებასა და მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ ტერიტორიაზე ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პირთა და ლტოლვილთა მიღებასა და განსახლებასთან, ანაზღაურებს სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი თანხებით.

2. ლტოლვილებთან დაკავშირებული ფინანსური საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, საქართველო შესაბამისი დახმარების მისაღებად მიმართავს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

3. ლტოლვილთა პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეფუძნება საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

მუხლი # 14 - პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

ამ კანონის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი # 15 - დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.